

საქართველოს მთავრობა

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა
და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თებერვალი, 2017 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მისამართი: თბილისი, 0134, გ. ლეონიძის ქ. №3/5

ტელეფონი: (+995 32) 2923299; (+995 32) 2922632

ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge

ელ-ფოსტა: elisolomidze@yahoo.com

შესავალი.....	4
I. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში	6
მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა.....	6
გენდერული მენისტრიმინგი	8
სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის.....	10
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა.....	14
მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	19
II. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა	21
სოციალური მობილობა	21
ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.....	21
III. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება.....	23
უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.....	26
პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა.....	27
სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობა	31
IV. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება	34
V. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ.....	42
VI. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა.....	43
VII. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.....	45

შესავალი

ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“. სტრატეგია ეყრდნობა თანასწორობის პრინციპსა და მიდგომას „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“ და მიზნად ისახავს თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას, ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან თანამონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი კულტურისა და იდენტობის დაცვას.

2016 წლის განმავლობაში გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესი; სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილმა სახელმწიფო უწყებათაშორისმა კომისიამ საქმიანობა განაგრძო სტრატეგიით განსაზღვრული შემდეგი ძირითადი მიზნების მისაღწევად:

- თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

კომისიის შემადგენლობაში შედიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი თანამშრომლები, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროებისა და ორგანიზაციების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციების“ წარმომადგენლები. კერძოდ:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქ. ბათუმის მერია;
- ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის სხდომები თბილისსა და რეგიონებში, სამუშაო შეხვედრები, თემატური დისკუსიები და კონსულტაციები, შემუშავდა რეკომენდაციები. აგრეთვე, კომისიაში წარმოდგენილ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა 2015 წლის საქმიანობის შესრულების ანგარიში და 2016 წლის სამოქმედო გეგმა. მომზადებული ანგარიშები წარედგინა მთავრობას, ასევე სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სამოქალაქო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ექსპერტებს. გარდა ამისა, საქმიანობა წარიმართა კომისიის ფარგლებში ჩამოყალიბებულ თემატურ სამუშაო ჯგუფებში. თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას აქტიური მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა, ასევე ამ სფეროში მომუშავე სხვა დაინტერესებულმა აქტორებმა. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო სამუშაო პროცესი „მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა“ და „მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების“ თემატურ ჯგუფებში.

წლის განმავლობაში საქმიანობა განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

I. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

დასახული შუალედური მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით კონკრეტული პროგრამები/პროექტები და ღონისძიებები განხორციელდა: საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტრომ, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციამ.

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა

ბოშების რეგისტრაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა ბოშათა რეგისტრაციის პროცესი, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს 2011 წლიდან საქართველოს *იუსტიციის სამინისტროს* სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან“ თანამშრომლობით; გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასა და მოქალაქეობასთან, ასევე პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.

2011-2016 წლის სტატისტიკური მონაცემები ბოშათა რეგისტრაციის შესახებ

საქმისწარმოების კატეგორია	საერთო ჯამი	დასრულდა საქმისწარმოება	საქმისწარმოების პროცესშია
მოქალაქეობის დადგენა	14	14	0
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი	16	14	2
დაბადების ფაქტი	37	37	0
სულ:	67	65	2

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში „მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის“ მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემის მდგომარეობის, მათი პრობლემების განხილვასა და გადაწყვეტის გზების ძიებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- "სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ინკლუზიური სწავლებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას;
- საერთაშორისო დონეზე არსებული ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ბოშების კულტურის შენარჩუნებისა და თვითმყოფადობის დაცვის მიზნით შემუშავდა ტრენინგ-მოდული, რამაც მოზარდებში გაზარდა ბოშების მიმართ მიმღებლობა; დაიგეგმა შეხვედრები, მომზადდა საკონფერენციო პრეზენტაციები;
- 2016 წლის მონაცემებით საჯარო სკოლებში სწავლობს 225 ბოშა მოზარდი. ქვეპროგრამის აქტივობებმა - კითხვისა და თეატრის კლუბებმა ბოშები და ადგილობრივი თანატოლები საერთო ინტერესის გარშემო გააერთიანა;
- ქვეპროგრამაში ჩართულ საჯარო სკოლებში ჩატარდა ღონისძიებები, რომელთა მიზანია ბოშების მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით ქ. ბათუმში მცხოვრებმა ბოშა მოზარდმა (ს.ა) სწავლა დაიწყო პროფესიული განათლების დაწყებით საფეხურზე. საბაზო განათლების დასრულების შემდეგ, ალტერნატიული გამოცდებით იგი ჩაირიცხა ბათუმის პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“. დღეისათვის ბოშა მოზარდი წარმატებით ეუფლება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის პროგრამას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ლინგვისტური უფლებების დაცვას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1255 ბრძანებით განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ენების სწავლება: ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული.

კერძოდ:

- ოსური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. წიწკანაანთსერის საჯარო სკოლის I-IX, ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფლების ფონისა და არეშფერანის საჯარო სკოლების I-XII კლასებში;
- ხუნძური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს საჯარო სკოლების I-IX კლასებში;
- უდიური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზინობიანის საჯარო სკოლის I-VI კლასებში;
- ასურული ენა - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი ქანდის საჯარო სკოლის VI-XI კლასებში;

- ქურთული - განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ქ. თბილისის N79 საჯარო სკოლა.

2016 წლის 13 სექტემბერის მინისტრის N702 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ N1255 ბრძანებაში და პირველ პუნქტს დაემატა "ვ" ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა ჩეჩური ენის, როგორც არჩევითი საგნის სწავლება კვირაში ორსაათიანი დატვირთვით ახმეტის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლების: ომალოს, დუისის, დუმასტურის, ბირკიანისა და ჯოყოლოს საჯარო სკოლების V-VI კლასებში.

გენდერული მეინსტრიმინგი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გენდერული ნიშნით უთანასწორობის აღმოფხვრასა და ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერასა და წახალისებას.

ამ მიზნით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის* ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა თემატური საინფორმაციო ხასიათის არაერთი შეხვედრა. შეხვედრებზე ყურადღება იყო გამახვილებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ადრეული ქორწინების ჩათვლით. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოში მოქმედი მშვიდობის ფონდის ორგანიზებით ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ქალთა უფლებები და ჩართულობა“. ქ. გარდაბანში გაიმართა ოთხი შეხვედრა ადგილობრივ მასწავლებლებთან, ქალთა ჩართულობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით კი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან ადამიანით ვაჭრობის, ოჯახში ძალადობისა და ეთნიკური უმცირესობების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

ამ მიმართულებით *თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს* მიერ განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის:

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „გენდერული თანასწორობა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა“;
- „თბილისის მეგობრობის სახლში“ გაიმართა კონფერენცია - „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ქალთა ჩართულობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში“. კონფერენციაზე იმსჯელეს გენდერული თანასწორობის სტრატეგიასთან დაკავშირებით და შეიმუშავეს კონკრეტული რეკომენდაციები.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიამ ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2011 წლიდან დაიწყო გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სასწავლო გეგმაში დანერგვა. ეროვნული თავდაცვის აკადემიის, როგორც საბაკალავრო, ასევე საკარიერო სკოლების სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებში ჩარიცხულ ყოველ ახალ ნაკადს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, უტარდება სწავლებები თემაზე: „გენდერული თანასწორობის პრინციპები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები“. 2013 წლიდან გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები შეტანილ იქნა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სკოლების შესაბამის სასწავლო გეგმაში. 2016 წლიდან IV კურსის იუნკერებისთვის სასწავლო მოდულში დამატებით დაინერგა შეფასებითი ლექცია (4 სთ.) გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში“ პრევენციის კომპონენტის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის აღკვეთის თემაზე მომზადდა და დაიბეჭდა ბროშურები ოთხ ენაზე (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული - 500ცალი); ბროშურა მოიცავს ინფორმაციას ძალადობის ფორმებისა და მსხვერპლის დახმარების მექანიზმის, სახელმწიფო ფონდის მომსახურებისა და მისით მოსარგებლე ბენეფიციარების შესახებ.

გარდა ამისა, წლის განმავლობაში სამინისტროს ორგანიზებით ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფლების მარტყოფისა და სართიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის, სოფ. განძანისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. სადახლოს მოსახლეობასთან.

ქ. ახალქალაქში კი, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო აქცია. უნივერსიტეტის სტუდენტებს გადაეცათ ბროშურები, მაისურები და ჩანთები.

ქვემო ქართლის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

ქვემო ქართლის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილია „მუნიციპალური სერვისი“ – „ქალთა ოთახი“, რომლის მიზანია ქალების საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციისა და სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. „ქალთა ოთახის“ ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება. ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის არაერთი შეხვედრა ადრეულ ქორწინებასთან, ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით.

განხორციელდა შემდეგი კურსები: საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთთვიანი კურსი, ტრენინგი „ლიდერი და წარმატებული ქალები პარლამენტში“, ინგლისური ენის საბაზისო სამთვიანი კურსი და სხვა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქვემო ქართლის რეგიონის

„ქალთა ოთახების“ ეგიდით განხორციელდა 35 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200-მდე ქალბატონმა.

სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) აკადემია აქტიურად ახორციელებდა ეთნიკურ უმცირესობათა თანასწორობის დაცვის პოლიტიკას.

აკადემიაში მოქმედებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: დეტექტივ-გამომძიებლის, პატრულ-ინსპექტორთა და უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს „პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“ და „გენდერული თანასწორობის“ თემატიკას. 2016 წლის მდგომარეობით ზემოაღნიშნული პროგრამები გაიარა ეთნიკური უმცირესობის 35 წარმომადგენელმა (16 აზერბაიჯანელი, 15 სომეხი, 3 უკრაინელი, 1 იეზიდო).

სსიპ შსს აკადემიაში „ქართულ ენაში მომზადების სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე“ სტუდენტთა მიღება პირველად განხორციელდა 2016-2017 სასწავლო წელს (ჩარიცხულ იქნა 2 სომეხი და 4 აზერბაიჯანელი სტუდენტი).

განხორციელდა "მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის"; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში გამოცხადდა კონკურსი (ნახატები, ესეები) თემაზე „დავიცვათ მოძრაობის წესები, ერთმანეთის გულისთვის“. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებმა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებზე რეაგირება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით ხორციელდებოდა. შესაბამისად, მოქალაქეებს გაეწიათ სათანადო დახმარება/კონსულტაცია. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სისტემატურად ხვდებოდა მოსახლეობას, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში: ნინოწმინდასა და ახალქალაქში. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ შექმნიათ პრობლემები სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, მათ მიეწოდებოდათ შესაბამისი ზეპირი განმარტება მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენაზე.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში მოქმედებს „ერთი ფანჯრის პრინციპი“; სურვილის შემთხვევაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ხვდებიან შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს. გუბერნატორის ადმინისტრაციას სხვადასხვა საჭიროებებზე განცხადებით მიმართა 2076 მოქალაქემ, რომელთაგან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო 146. განცხადებებში

მოქალაქეები ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად ითხოვენ სოციალურ დახმარებას, სამასალე მერქანის გამოყოფას, მკურნალობის თანხებს. სამასალე მერქანის გამოყოფაზე ნებართვა მიეცა ეთნიკური უმცირესობების 117 წარმომადგენელს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გუბერნატორის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურები ჩართულნი იყვნენ ცენტრალური უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ იმ ღონისძიებებში, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებისა და მათი სამოქალაქო აქტივობის გაზრდის მიზნით ხორციელდება. მუნიციპალიტეტებში კადრების საკონკურსო შერჩევის დროს კონკურსანტებს აქვთ შესაძლებლობა ტესტირება გაიარონ მშობლიურ ენაზე.

ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის N61 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ სათათბირო საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, გუბერნატორის მოადგილეები, ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორი სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ეთნიკური უმცირესობათა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

თბილისის საკრებულოს საქმიანობა:

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიამ სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაცია გადაუგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სამინისტროს შუალედური პასუხის მიხედვით, ინფორმაცია გადაეგზავნათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

დიასპორების ძალისხმევით, მოძიებული იქნა და ამჟამად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 3 თვიან სტაჟირებას გადის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ხუთი წარჩინებული სტუდენტი. ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში სტაჟირება გაიარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ორმა პირმა.

ცნობიერების ამაღლება/საინფორმაციო შეხვედრები განათლების საკითხებზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა

- მიმდინარე წლის 19 ივლისს შვედეთის საერთაშორისო განვითარების ფონდის (SIDA) ხელშეწყობით, ალექსანდრე რონდელის სახელობის სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის მიერ ქ. ახალქალაქში მოეწყო საჯარო დისკუსია-

პრეზენტაცია განათლების სისტემაში/ახალ სასწავლო გეგმაში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის საკითხებზე.

- ევროსაბჭო-ევროკავშირთან თანამშრომლობით შეიქმნა და ენების ევროპული ქართული განსაზღვრულ საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა 13 ენაზე ითარგმნა ბუკლეტები უმცირესობათა ენების შესწავლისა და ბილინგვური განათლების მნიშვნელობის შესახებ. ბუკლეტების შექმნა/თარგმნაში მონაწილეობდნენ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები.
- გაიმართა შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამეგრელოს, აჭარისა და ქ. ქუთაისის რესურს-ცენტრების წარმომადგენლებთან, ასევე სკოლების ხელმძღვანელობასთან სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების შესწავლის, ასევე ორენოვანი სასწავლო პროგრამების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თხუთმეტივე პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ბროშურები ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ხუთ ენაზე (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული და ინგლისური).

პრობაციონერთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სომხურ ენაზე ითარგმნა 800 საინფორმაციო ბუკლეტი, აზერბაიჯანულ ენაზე - 2000 ცალი, ხოლო რუსულ ენაზე - 700.

პირველ ეტაპზე, პრობაციონერთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ნათარგმნი ბროშურები გადაეცა ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს: აზერბაიჯანულენოვანი - 500 ცალი, რუსულენოვანი - 200 ცალი. სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროს გადაეცა 400 სომხურენოვანი, 200 რუსულენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო ბუკლეტი.

სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში 2015 წლის დეკემბრიდან მიმდინარეობს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა სავალდებულო პროფესიული მომზადების, სერთიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების პროცესი. აღნიშნულის მიზნით შემუშავებულ იქნა სასწავლო პროგრამები, სადაც სხვა ძირითად თემატიკასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტების, განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიებთან (მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებთან) მოპყრობის თავისებურებების სწავლებას, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით.

2016 წლის განმავლობაში მომზადება/გადამზადება გაიარა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2417-მა მსმენელმა, როგორც ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების, ასევე

ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებებისა და მათთან მოპყრობის სპეციფიკის საკითხებზე.

ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე

2006 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს.

ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სხვადასხვა რეგიონში გამართა საინფორმაციო შეხვედრები, ჩატარდა ტრენინგები რომლებიც მიეძღვნა ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკას, უკანონო მიგრაციის საკითხებსა და ამ საფრთხისაგან თავდაცვის მექანიზმებს. გავრცელდა ტრეფიკინგის თემაზე მომზადებული ხუთენოვანი საინფორმაციო ბროშურები (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული და აზერბაიჯანული).

საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2016 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მათ შორის მათთვის გასაგებ ენაზეც. აღნიშნული მასალები გავრცელდა საზოგადოებრივი ცენტრებისა და იუსტიციის სახლების მეშვეობით (ერთ საზოგადოებრივ ცენტრში საშუალოდ 80-100 ბუკლეტი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა და გამოიცა ბროშურა - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გზამკვლევი“ (აზერბაიჯანულ ენაზე 1500 ცალი, სომხურ ენაზე 1500 ცალი), რომელიც ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) გავრცელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით.

ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრი 2016 წლის განმავლობაში ახორციელებდა პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“. პროექტის

მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რეგიონის მცხოვრებთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და პიროვნული/პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობა. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში, სამი თვის განმავლობაში საქართველოს 33 საზოგადოებრივ ცენტრში (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლები) ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის უფასოდ ჩატარდა ტრენინგები, როგორც სამართლებრივ, ასევე სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგებს დაესწრო 5350 მონაწილე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

2016 წელს ჩატარებული არჩევნების¹ დროს მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო); განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული მასალების თარგმნა ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე

- სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია: საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა სამახსოვრო, ბიულეტენის შევსების წესი, ამომრჩეველთა ერთიანი სია (კედელისა და სამაგიდო), ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში კედელზე გასაკრავი ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი.
- სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია; კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები; საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს; ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები; საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები და გადასატანი საარჩევნო ყუთის

¹2016 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შემდეგი არჩევნები ჩაატარა: 2016 წლის 28 იანვრის გარდაბნის გამგებლის რიგგარეშე არჩევნები; 2016 წლის 22 მაისის საკრებულოების შუალედური არჩევნები; საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები; თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის მერისა და თვითმმართველი თემების – ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგებლების 2016 წლის 8 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნები; ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 8 ოქტომბრის შუალედური არჩევნები; ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 30 ოქტომბრის შუალედური არჩევნები.

თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები; ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებით.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ ამომრჩევლებს ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმებისთვის ახალი სერვისი შესთავაზა. ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე (voters.cec.gov.ge) განთავსდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფოტო-სურათიანი ელექტრონული ვერსია (სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული უახლესი ფოტო-სურათით ციფრულ ფორმატში), სადაც თითოეულ ამომრჩეველს მიეცა საშუალება გადამოწმებინა საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემები. მნიშვნელოვანია, რომ სიაში მონაცემების გადამოწმებისას მომხმარებლები, ასევე იღებდნენ ინფორმაციას საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის შესახებ. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებს, ამომრჩეველთა ერთიანი სიის საძიებო სისტემით (voters.cec.gov.ge) სარგებლობა შეეძლოთ ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ამომრჩევლებს, ასევე საშუალება ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემები, საქართველოს მასშტაბით განთავსებულ 7000 სწრაფი გადახდის ტერმინალის საშუალებით გადამოწმებინათ. აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ვერსია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პირველად განთავსდა სწრაფი გადახდის ტერმინალებში, რამაც უზრუნველყო მეტი ხელმისაწვდომობა და გამარტივებული სერვისი ამომრჩევლებისთვის.

აღნიშნული მიმართულებით ცესკომ მომხმარებლებს კიდევ ერთი ინოვაცია შესთავაზა – სპეციალური აპლიკაციის საშუალებით ნებისმიერ მოქალაქეს „ანდროიდ“ სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის გამოყენებით, შეეძლო ამომრჩეველთა ერთიან სიაში გადამოწმებინა საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემები და ენახა რომელ საარჩევნო უბანზე იყო რეგისტრირებული.

გარდა ამისა, ცესკოს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო:

- ცესკოს მიერ დამზადებული ყველა საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეო რგოლი საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში განთავსებული იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ უზრუნველყო სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანსა“ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთ „გურჯისტანში“ ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.
- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, ამომრჩევლებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეეძლოთ სომხურ და

აზერბაიჯანულ ენებზე, სადაც დასაქმებული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 4 ახალგაზრდა (2 სომეხი, 2 აზერბაიჯანელი).

მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უმცირესობათა თემებისათვის - არჩევნების მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების გზით“

ცესკომ საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების) მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აღნიშნული მიმართულებით სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 8 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი. აქედან, 7 პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობები, რომლის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 199 377 ლარი. ხოლო 1 პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა, როგორც ეთნიკური უმცირესობები, ისე შშმ პირები. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა 27 790 ლარი. აღსანიშნავია, რომ პროექტების განხორციელების გეოგრაფიული არეალი სრულად მოიცავდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს.

ეთნიკური უმცირესობებს მიკუთვნებული საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მომზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოს მასშტაბით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში შექმნილი იყო 344 საარჩევნო უბანი (ქართულ-აზერბაიჯანული – 207 უბანი; ქართულ-სომხური – 133 უბანი; ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4 უბანი). საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩაუტარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 47 341 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების 2714 წარმომადგენელს (აქედან, სომეხი – 1 343, აზერბაიჯანელი – 1 338, ოსი – 13, რუსი – 12, ავარიელი – 7, უკრაინელი – 1).

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების სომხურენოვანმა და აზერბაიჯანულენოვანმა წევრებმა გაიარეს ინტენსიური სასწავლო კურსი. ტრენინგების I ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით. ტრენინგების II ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ტრენინგების III ეტაპი დაეთმო საუბნო

საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას. ამ ეტაპის სასწავლო პროგრამა მოიცავდა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებების განხილვას, ასევე ინტეგრირებული იყო ინოვაციური სასწავლო მოდულები - კონფლიქტების მართვა და არჩევნების უსაფრთხოება, რომელიც ცესკოს სწავლების ცენტრმა, ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტის რეკომენდაციებითა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით შეიმუშავა. ტრენინგების IV ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ სიმულაციური სწავლება კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ფორმატში.

ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

საანგარიშო პერიოდში, ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მიმართულებით განხორციელდა შემდეგი პროექტები: „საარჩევნო განვითარების სკოლა“, „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“.

საარჩევნო განვითარების სკოლა

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა 2016“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაცია, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენინგების უნარ-ჩვევების განვითარება და საარჩევნო ადმინისტრაციაში დაგროვილი ცოდნის გაზიარების გზით დამატებითი ადამიანური რესურსის შექმნა.

სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობა, საარჩევნო სისტემები საქართველოში, არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება, არჩევნებში ჩართული მხარეები, საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობა, გენდერი და არჩევნები, ამომრჩეველთა სიები, წინასაარჩევნო პერიოდი, კენჭისყრის პროცედურები, საარჩევნო უბნების დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება და საარჩევნო დაგები.

პროექტი განხორციელდა 20 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 4 მუნიციპალიტეტში² და მასში მონაწილეობა მიიღო 453-მა ახალგაზრდამ. აქედან ქალი – 298 (65.78%) და კაცი – 155 (34.22%). აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა შორის იყო ეთნიკური უმცირესობების 7 წარმომადგენელი, მათ შორის: ქალი – 5 (71.43%) და კაცი – 2 (28.57%).

არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი

ცესკომ და სწავლების ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური

² პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანი, მარნეული, თელავი და ახალციხე.

მხარდაჭერით, საჯარო სკოლებში საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განახორციელა. სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები.

სასწავლო კურსი ჩაუტარდა 21 მუნიციპალიტეტში (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 14 მუნიციპალიტეტს³ და 7 მაღალმთიან რეგიონში) განლაგებული 73 საჯარო სკოლის XI-XII კლასის 1235 მოსწავლეს.

საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობა.

სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესი; საარჩევნო უბნის დახურვა; საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები; საარჩევნო ყუთის გახსნა; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა; კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

პროექტი განხორციელდა საქართველოს მასშტაბით 22 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 11 მუნიციპალიტეტში⁴. სასწავლო კურსის ფარგლებში, სწავლება გაიარა 804-მა მონაწილემ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტებიდან 377-მა მონაწილემ.

ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლობით, პირველად საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მონაწილეობით ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია, რომლის ფარგლებში გაიმართა იმიტირებული ხმის მიცემის პროცედურა. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩეველებისთვის გამართული იმიტირებული კენჭისყრის პროცესი, მათი საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობას ემსახურებოდა.

³ პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, გარდაბანი, რუსთავი, წალკა, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, მცხეთა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე.

⁴ პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ახალქალაქი, ახალციხე, ბოლნისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, მარნეული, ნინოწმინდა, საგარეჯო, წალკა, დმანისი.

შეხვედრები გაიმართა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, ქვემო ქართლი) 53 სოფელში.⁵

მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში **საზოგადოებრივმა მაუწყებელმა** განახორციელა 2016 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები.

ტელემაუწყებლობა

2016 წლის 22 აგვისტოდან ყოველდღე საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება “მოამბე“ 18:00 და 20:00 საათზე, რომელიც პარალელურ რეჟიმში გადის მეორე არხის ეთერშიც, გადაიცემა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. აღნიშნული პროექტი „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის“ რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტია, რომელიც აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაყურებელს შესთავაზა ყოველდღიური გამოშვებები სამ ენაზე (ქრონომეტრაჟით 26 წთ.), რომელიც გადის მეორე არხის ეთერში (აფხაზურენოვანი – 23:00 საათზე, ოსურენოვანი- 23:30 საათზე, რუსულენოვანი - 00:00 საათზე).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო პენიტენციურ დაწესებულებებს უზრუნველყოფს, ტექნიკურად შესაძლებელი ლიმიტის (15 არხი) ფარგლებში, ყველა ეროვნების ბრალდებულ/მსჯავრდებულისათვის საინტერესო სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობაში უფასოდ ხელმისაწვდომი სატელევიზიო არხების ჩართვას. უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სატელევიზიო არხების მაუწყებლობა ხორციელდება ოთხ ენაზე: ქართული, რუსული, თურქული და აზერბაიჯანული.

რადიომაუწყებლობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო“ (ქრონომეტრაჟი - 40წთ). გადაცემა აშუქებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დღესასწაულებს, კულტურულ თავისებურებებს, ტრადიციებს, გამოწვევებს,

⁵ შეხვედრები გაიმართა შემდეგ რაიონებსა და სოფლებში: საგარეჯოს რაიონი - დუზაგრამა, ქეშალო, თულარი. ლაგოდეხის რაიონი - კაბალი, უზუნთალა. თელავის რაიონი - ყარაჯალა. გარდაბნის რაიონი - ნაზარლო, ქესალო, კალინინო, ბირლიკი. მარნეულის რაიონი - ყიზილაჯლო, ალგეთი, შაუმიანი. ბოლნისის რაიონი - ტალავერი, ნახიდური, ბოლნისი, ქვ. ბოლნისი, დარბაზი, კიანეთი. დმანისის რაიონი - ზემო კარაბულახი, ამამლო, კიზილქილისა. წალკის რაიონი - ნარდევანი, აიაზმა, კუში, არსარვანი, ჩოლიანი, თეჯისი, ხაჩკოვი, კაბური, ჩივთქილისა. თეთრიწყაროს რაიონი - დურნუკი, დაღეთი, სამშვილდე, შიხილო, აღთაკლია, ყარათაკლია. ბორჯომის რაიონი - კოჩიო, ალათუმანი, ბეჟანო. ახალციხის რაიონი - აბათხევი, წირა, წყრუთი, პატარა, პამაჯი, ორალი, ყულალისი, საძელი. ახალქალაქის რაიონი - ახალქალაქი, გულიკამი, დილისკა. ნინოწმინდის რაიონი - დიდი არაგიალი, ჯიგრაშენი.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტებსა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებულ სირთულეებს;

2016 წლის განმავლობაში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულად ნათარგმნი "მოამბის" გამოშვებები იწერებოდა რადიოს სტუდიაში და გადაიცემოდა პირველი რადიოს ეთერში; ასევე რადიო 2-ის ეთერში გაგრძელდა ქურთულენოვანი (ქრონომეტრაჟი - 25წთ) ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელა პროექტი: „სწავლება რადიო ჟურნალისტიკასა და კომუნიკაციის მართვაში“. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ოთხ თვიანი სასწავლო პროგრამა აზერბაიჯანულ (AGFM) და სომხურ (VRASTAN-FM) რადიოში. სასწავლო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება. პროექტის ფარგლებში რადიოში დასაქმდა 5 სომეხი და 5 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა.

აზერბაიჯანული რადიო AGFM მაუწყებლობს შემდეგ რეგიონებში: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო FM 101,5; რუსთავი, გარდაბანი, თბილისი, FM 100,6; სომხური რადიო VRASTAN FM მაუწყებლობს შემდეგ რეგიონებში: ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე Fm106.2.

ელექტრონული/ბეჭდვითი მედია

ოპერატიული ინფორმაციის უმოკლეს დროში გავრცელებისთვის, **საზოგადოებრივი მაუწყებლის** ქოლგის ქვეშ ამოქმედდა ვებ-გვერდი ხუთ ენაზე: <http://multitolerant.gpb.ge/>, რომელიც მოიცავს ქვე-ვებ-გვერდებს (www.abkh.gpb.ge; www.os.gpb.ge; www.am.gpb.ge; www.az.gpb.ge; www.ru.gpb.ge). გარდა უახლესი ინფორმაციისა, ვებ-გვერდებზე განთავსებულია ტელევიზიის "ოქროს ფონდში" დაცული უნიკალური საარქივო მასალები ხუთივე ენაზე. პარალელურად, სოციალურ ქსელში შექმნილია ხუთი სხვადასხვაენოვანი გვერდი, რომელიც კიდევ უფრო ინტერაქტიულს ხდის შექმნილ პროდუქციას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც მთლიანი გადაცემები, ისე ცალკეული სიახლეები და ექსკლუზიური სიუჟეტები იტვირთება Youtube-ზე.

წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (52 ნომერი; ტირაჟი 4000 ცალი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (53 ნომერი, ტირაჟი 2000 ცალი). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.

ქვემო ქართლის რეგიონში 2015 წლიდან გამოიცემა გაზეთი „ბოლნისი“ ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე; ასევე ფუნქციონირებს ინტერნეტ-პორტალი www.bolnisi.ge. წალკაში გამოდის გაზეთი "თრიალეთის ექსპრესი", ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში – ყოველთვიური გაზეთი „დიდგორელები“, რომლის მეშვეობითაც არაქართულენოვან

მოსახლეობას მიეწოდება საჭირო ინფორმაცია. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოდის ქართულენოვანი, რეგიონული, ყოველკვირეული გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“.

II. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

სოციალური მობილობა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის დაგეგმა და განახორციელა საინფორმაციო კამპანია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ხორციელდება ძირითადად რუსული ენაზე, ხოლო კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში – შესაბამის ენაზე, არაოფიციალური თარჯიმნების დახმარებით.

2016 წლის „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის საგანმანათლებლო-საინფორმაციო მასალები: *თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა* (90% ქართულ, 5% სომხურ და 5% აზერბაიჯანულ ენაზე).

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა⁶

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ითვალისწინებდა გაზიფიკაციას, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემებისა და გარე განათების რეაბილიტაციას და სხვა.

კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 40 პროექტი, საერთო ღირებულებით 15 450 642 ლარი.
- სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი, ღირებულებით 9 417 020 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 410 პროექტი, საერთო ღირებულებით 3 665 668 ლარი.

⁶ სრული ინფორმაცია იხილეთ დანართი 1

- ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 292 პროექტი, ღირებულებით 21 060 610 ლარი

ქვემო ქართლის რეგიონი

- ქვემო ქართლის რეგიონში პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 57 პროექტი, საერთო ღირებულებით 23 269 781 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 436 პროექტი, საერთო ღირებულებით 6879074 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი, ღირებულებით 5 390 708 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი, ღირებულებით 816 001 ლარი.

კახეთის რეგიონი

- კახეთის რეგიონში (ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები) პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 19 პროექტი, საერთო ღირებულებით 5 511 190 ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 209 პროექტი, საერთო ღირებულებით 1 849 276 ლარი.
- სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი, ღირებულებით 970 301 ლარი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა:

ქვემო ქართლის რეგიონი

- მთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლებისა და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია - მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფლები: ბეითარაფჩო, კასუმლო, კუშუ, ბაითალო, აღმამედლო, კაჩაგანი, თექალო.
- ქ. მარნეულში მდებარე ხრამ-არხის გამანაწილებლის რკინაბეტონის რგოლებით მოწყობილი გალერეის რეაბილიტაცია - მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტალავარი.
- ლოჭინის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია, ზ/სამგორის ს/ს ქვემო მაგისტრალური არხის წყლით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გაჩიანი.

კახეთის რეგიონი

- ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში დახურული მილსადენების მოწყობა - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, იორმულალოს თემი.

შიდა ქართლის რეგიონი

- კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე შპს საქართველოს მელიორაციის კუთვნილი ხვითის სამელიორაციო სატუმბი სადგურის გარე ელ. მომარაგება. - კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხვითი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხოსპიოში მდებარე ალმალოს სატუმბი სადგურის გარე ელ. მომარაგება - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფლები: ხოსპიო, გულიკამი, მურჯახეთი, ჩანდურა, ვაჩიანი და დილისკა.

III. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). საქართველოში ფუნქციონირებს 298 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 81 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 118 აზერბაიჯანულენოვანი, 131 სომხურენოვანი, 49 რუსულენოვანი სკოლები. ასევე, ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 42, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი-1.

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაგრძო მუშაობა ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ამ მიმართულებით გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, კერძოდ მომზადდა და დამტკიცდა “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი; შემუშავდა განათლების ხელმისაწვდომობის ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი „განათლების პოლიტიკა საზოგადოების ინტეგრაციისთვის“; ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა საანგარიშო პერიოდში განაგრძეს სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

ქვეპროგრამის „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა“ ფარგლებში განხორციელდა 2 აქტივობა: „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მასწავლებლებისთვის“ და „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მოსწავლეებისთვის“. „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მასწავლებლებისთვის“ - მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე ჯავახეთი) არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების 30 მასწავლებელმა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების 20 მასწავლებელმა. პედაგოგებისათვის განხორციელდა 12 დღიანი საზაფხულო სკოლა ბაკურიანში, რომელიც მოიცავდა, როგორც კულტურათაშორის დიალოგის ხელშემწყობ ტრენინგებს/ინტერაქტიულ პროგრამებს, ასევე არაკადემიურ პროგრამებსაც.

„მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მოსწავლეებისთვის“ - მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსების საფუძველზე შერჩეული 2015-2016 აკადემიური წლის მდგომარეობით, საქართველოს რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე - ჯავახეთი) არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების VIII, IX, X და XI კლასების საუკეთესო შედეგების მქონე 30 მოსწავლემ და საქართველოს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების VIII, IX, X და XI კლასების საუკეთესო შედეგების მქონე 20 მოსწავლემ. მოსწავლეებისთვის განხორციელდა 12 დღიანი საზაფხულო სკოლა ბაკურიანში. საზაფხულო სკოლა ითვალისწინებდა კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებისათვის გამიზნული აქტივობების განხორციელებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:

- განახორციელა „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამა“, რომლის ერთ-ერთი სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს მშობელთათვის ადრეული ქორწინების რისკების გაცნობა. აღნიშნული ქვეპროგრამა ხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით. ქვეპროგრამის ფარგლებში სისტემატურად ტარდება გასვლითი ღონისძიებები რეგიონებში. საჯარო სკოლებში მშობლებისთვის ტარდება შეხვედრები/საჯარო ლექციები, სადაც განიხილება ადრეული ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები (ჯანმრთელობისა და სამართლებრივი კუთხით). შეხვედრებში მონაწილეობას იღებს ფსიქოლოგი, ადგილობრივი სამართალდამცავი და სოციალური მუშაკი. 2016 წელს ჩატარდა 11 საჯარო შეხვედრა ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (საგარეჯო, გარდაბანი, დმანისი).
- „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა, რომელიც ხორციელდება 2015 წლიდან, გაგრძელდა და მისი მოქმედების არეალი გაფართოვდა: 2016 წელს პროგრამამ მოიცვა არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისა და ქართულენოვანი საჯარო სკოლების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები.
- საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40/ნ ბრძანებით დამტკიცდა ენობრივი განათლების კონცეფცია. იგი შევიდა 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის (დაწყებითი საფეხური) I კარში. კონცეფცია განთავსებულია ესგ-ის დეპარტამენტის ვებ-პორტალზე: www.ncp.ge.

- სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის - "ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის" მიზანია საჯარო სკოლაში მიუსაფარი ბავშვების სრულფასოვანი ინტეგრაცია. 2016 წლის ივნისის თვიდან პროგრამაში ჩართულია 100-მდე ბენეფიციარი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიუსაფარ (ე. წ. ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე) ბავშვთა სადღეღამისო თავშესაფრებსა და დღის ცენტრებში მუშაობს 12 სპეცმასწავლებელი (აკადემიური უნარების განვითარება), 6 ტრენერი (სასიცოცხლო უნარების განვითარება), ასევე რამდენიმე ფსიქოლოგი.
- 2016 წელს განხორციელდა „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის“. პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური დაცვის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული მიუსაფარი ბავშვების სადღეღამისო თავშესაფრებსა და დღის ცენტრებში მყოფი მოსწავლეები (ქ. თბილისში, ქ. რუსთავეში, ქ. ქუთაისში). პროგრამაში ჩართული იყო ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 80-მდე ბავშვი, 21 მათგანი ჩაირიცხა სკოლაში, 4 კი ჩაერთო პროფესიული გადამზადების პროგრამაში. განხორციელდა ასევე მიუსაფარი ბავშვების საჯარო სკოლების პედაგოგებისა და დირექტორებისთვის ტრენინგი. თემა „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სტრატეგიები“ და სკოლის მოსწავლეთა მშობლებისთვის საინფორმაციო კამპანია მიუსაფარი ბავშვების მიმართ სტიგმის დასაძლევად.
- ტრენინგები ჩატარდა 40-მდე საჯარო სკოლის 150 მასწავლებელს (რამდენიმე დირექტორს). განხორციელდა საინფორმაციო კამპანია მიუსაფარი ბავშვების მშობლებისთვის, 20 საჯარო სკოლაში, მონაწილეობდა 1000-მდე მშობელი.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საქმიანობა:

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

2015-2016 სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა საქართველოში არსებულ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებშიც. აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ენის ოლიმპიადაში.

ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლები)	1127
საგნები აზერბაიჯანულ ენაზე	547
საგნები სომხურ ენაზე	710

მესამე ტურის საფუძველზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები - მათ შორის, ქართულ ენაში - 9 რუსულენოვანი მოსწავლე, 1 სომხურენოვანი მოსწავლე.

სკოლის გამოსაშვები გამოცდები

2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების საფუძველზე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აიღო:

სომხურენოვანი მოსწავლე - 703;

აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე - 650;

რუსულენოვანი მოსწავლე - 926.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მიიღონ უმაღლესი განათლება გამარტივებული წესით. გამარტივებული სისტემა, ე.წ. „1+4 პროგრამა“ ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო კურსს და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. 2016-2017 აკადემიური წლისთვის გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წარადგინა აფხაზურენოვანი ზოგადი უნარების ტესტი, რაც შესაძლებლობას აძლევს აფხაზურენოვან აბიტურიენტებს ჩაერთონ პროგრამაში და უკვე აფხაზურ ენაზე ჩააბარონ მისაღები გამოცდები გამარტივებული ფორმით. ოსურენოვანი ახალგაზრდებისთვის პროგრამა სრულფასოვნად ამოქმედდა 2015-2016 სასწავლო წლიდან.

2016 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 960 აბიტურიენტმა; აქედან: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 660; ხოლო ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 300 აბიტურიენტმა.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 194 აბიტურიენტი (ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე 99, ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე 95 აბიტურიენტი).

აკადემიურ პროგრამებზე ჩაირიცხა:

- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე 3 აბიტურიენტი (ერთმა მიიღო გრანტი);
- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე 8 აბიტურიენტი (ერთმა მიიღო გრანტი).

ერთმა აბიტურიენტმა ჩააბარა აფხაზური ენისა და ლიტერატურის ტესტი და ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პროგრამაზე.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში 2015-2016 სასწავლო წელს „1+4 პროგრამის“ ფარგლებში ჩაირიცხა მხოლოდ 1 აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტი, რომელმაც საკუთარი სურვილით მალევე დატოვა აკადემია და იგი ამორიცხულ იქნა აღნიშნული პროგრამიდან. ხოლო ზოგადად, 2016 წლის მონაცემებით აკადემიაში „1+4 პროგრამით“ ირიცხება 7 იუნკერი (3 აზერბაიჯანელი, 4 სომეხი; აქედან - მეორე კურსზე - 3, მესამე კურსზე - 2 და მეოთხე კურსზე - 2).

პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება. ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას ეწევა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება და მათი ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაცია.

წლის განმავლობაში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ და „სახელმწიფო ენის სწავლების“ პროგრამები.

„საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამის ექვსი დარგობრივი მიმართულების (სახელმწიფო შესყიდვები; საჯარო ორგანიზაციების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში; საჯარო ფინანსების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია; ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა) ფარგლებში 2016 წელს სწავლება გაიარა 191-მა მსმენელმა.

- „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების სისტემა;
- ცვლილებები შევიდა და განახლდა მსმენელთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში;
- დაინერგა გამოცდების ცენტრალიზებული წესით ჩატარების სისტემა;

- „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა ახალი დარგობრივი მიმართულება „ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა“;
- ცვლილებები შევიდა საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების ქვეპროგრამის, სასწავლო კურსების სტატუსის განსაზღვრაში;
- „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამაში ჩართულ ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროგრამის 2016 წლის პირველი ნაკადის შედეგების გაანალიზების მიზნით გაიმართა 4 დღიანი სამუშაო შეხვედრა, როგორც პროგრამაში ჩართულ ტრენერთა, ასევე სასწავლო პროცესებში ჩართულ თანამშრომელთა მონაწილეობით;
- შემუშავდა ახალი ტრენინგ კურსი „საქართველო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“, რომელიც ჩატარდა 3 რეგიონში: სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი; მონაწილეობა მიიღო 201-მა მსმენელმა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 60 მონაწილე, ქვემო ქართლის რეგიონი 107 მონაწილე, კახეთი-34 მონაწილე);
- „საქმისწარმოებისა და ელექტრონული მმართველობის“ სასწავლო კურსის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, გადამზადება გაიარა 92-მა საჯარო სამსახურში დასაქმებულმა პირმა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი-71 მსმენელი, ქვემო ქართლი-21 მსმენელი);
- შემუშავდა და სასწავლო პროცესების მართვის საბჭოზე დამტკიცდა კურსი „გენდერული ბიუჯეტირება“. კურსის ფარგლებში სწავლება გაიარა 17 მსმენელმა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელ საბაზისო პროგრამაში ჩაირიცხა და სწავლება გაიარა 220-მა მსმენელმა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი-75 მსმენელი, ქვემო ქართლის რეგიონი-145 მსმენელი);
- შემუშავდა და სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში დარეგისტრირდა 16 მოკლევადიანი სასწავლო კურსი.

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა:

„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“

2016 წელს პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა“ გაერთიანდა სახელწოდებით „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“.

პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. გარდა ამისა, პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

საქართველოს მასშტაბით არსებულ არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებს, სკოლების ბიბლიოთეკებსა და საგანმანათლებლო რესურს ცენტრებს დაურიგდათ:

- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დოკუმენტების კრებული. პუბლიკაციის ელექტრონული ვერსიის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია 2015 წლის მაისიდან.

	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური
რესურსცენტრი	11	22	13 ცალი
სკოლა	113	40	122 ცალი
მასწავლებელი	2955	1142	2805 ცალი
ჯამი	3,079	1,204	2,940

- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის I ნაწილი. პუბლიკაციის ელექტრონული ვერსიის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია 2015 წლის სექტემბრიდან.

	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური
რესურსცენტრი	11	22	13 ცალი
სკოლა	113	40	122 ცალი
მასწავლებელი	2955	1142	2805 ცალი
ჯამი	3,079	1,204	2,940

- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სკოლის ადმინისტრაციას და ფასილიტატორებს;
- სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 23 სექტემბრის №217 ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა მასწავლებლის თვითშეფასების ახალი კითხვარი. კითხვარი ითარგმნა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე და განთავსდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. კითხვარის ელექტრონული ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ბეჭდური და ელექტრონული მედიის საშუალებით;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგ პროგრამები და მასთან დაკავშირებული სხვა სატრენინგო მასალა სრულად ითარგმნა აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე;

- გამოცხადდა აზერბაიჯანულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი ტრენერების კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 320 კონკურსანტმა, რომლიდან საბოლოოდ შეირჩა 25 ტრენერი;
- გადამზადდნენ არაქართულენოვანი სკოლების აზერბაიჯანულენოვანი მასწავლებლები შემდეგ საგნებში: ფიზიკა, ისტორია, მათემატიკა; სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან 179 სკოლაში 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში გაიგზავნა 105 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი, ქართულის, ისტორიისა და გეოგრაფიის 135 დამხმარე მასწავლებელი და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგნის 14 ორენოვანი მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში მივლენილი მასწავლებლები ადგილობრივ კოლეგებს დახმარებას უწევდნენ საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი-30 კონსულტანტ-მასწავლებელი; 42 ქართულენოვანი დამხმარე მასწავლებელი; 5 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი; ქვემო ქართლის რეგიონი - 70 კონსულტანტ-მასწავლებელი; 82 ქართულენოვანი დამხმარე მასწავლებელი; 9 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი);
- სამიზნე სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის შეთავაზებულ ა1 დონის შემსწავლელ ენის კურსში ჩართული იყო 221 მასწავლებელი. საბოლოო შეფასება წარმატებით გაიარა 135 მსმენელმა. ხოლო, ა2 დონის შემსწავლელ კურსში ჩართული იყო 398 მასწავლებელი. საბოლოო შეფასება წარმატებით გაიარა 232-მა მსმენელმა;
- 105 კონსულტანტ-მასწავლებელს ჩაუტარდა ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების გრძელვადიანი მეთოდური კურსის მეორე და მესამე მოდული - მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება (II) და კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება (III). ტრენინგ-მოდულების ფარგლებში კონსულტანტ-მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ადგილობრივ კოლეგასთან ერთად ენისა და საგნის ინტეგრირებულ მინიმუმ 3 გაკვეთილს. გაკვეთილები განხილული და გაუმჯობესებულია ტრენინგის ფარგლებში პირადი შეხვედრების დროს. შემუშავებული მასალები განთავსებულია ონლაინ სწავლების პორტალზე moodle.iliauni.edu.ge.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის №145/ნ ბრძანებით ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომლის თანახმად დამტკიცდა ეთნიკურ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის ეთნიკურ უმცირესობათა ენების ექსპერტ-კონსულტანტის მიერ შემუშავდა მასწავლებელთათვის სტანდარტები და სტანდარტზე დაყრდნობით დაიწერა ტრენინგ-პროგრამის „ენის სწავლების მეთოდიკა ეთნიკური უმცირესობების ენების მასწავლებელთათვის“ ფარგლებში ორი ტრენინგ მოდული: კითხვა/მოსმენის უნარების განვითარება (20 საკონტაქტო საათი) და წერა/ლაპარაკის უნარების განვითარება (15 საკონტაქტო საათი), მომზადდა შესაბამისი საკითხავი მასალა და სატრენინგო დავალებები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 აპრილის №26/ნ ბრძანებით, ცვლილება შევიდა ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა პროფესიული ტესტირების ჩატარების შესაძლებლობა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, აპლიკანტის მიერ მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შემთხვევაში. შესაბამისად, 2016 წლის საგაზაფხულო მიღებაზე, აპლიკანტებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე ჩაებარებინათ პროფესიული ტესტი, რის შედეგადაც სტუდენტის სტატუსი მიიღო სამმა, ხოლო საშემოდგომო მიღებაზე ათმა არაქართულენოვანმა აპლიკანტმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით, იმ აპლიკანტებისათვის, რომლებიც რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ტესტირების გზით ჩაირიცხნენ პროფესიულ პროგრამებზე, სავალდებულოდ განისაზღვრა სწავლის დაწყება ქართული ენის მოდულით.

2016 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში, ქართული ენის მოდული გაიარა 3-მა, ხოლო საშემოდგომო მიღების ფარგლებში 10-მა სტუდენტმა.

სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობა

სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, სახელმწიფო განაგრძობს სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელების გზით ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლებას განათლების ყველა საფეხურზე. გარდა ამისა, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საჯარო მოხელეები, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები და ზოგადად, ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ხორციელდება "ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამა". პროგრამა სრულდება ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველოსთან თანამშრომლობითა და ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია მსმენელებისა და მასწავლებლებისათვის ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა/სწავლების სრული პაკეტის შეთავაზება. ამ მიზნის მისაღწევად ხორციელდება სისტემური და თანამიმდევრული სამუშაოები: შექმნილია ქართული ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობა, (A1, A2, B1. B2. C1, C2 დონეები). ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტიზაციის აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქართული სახელმწიფო ინტენსიურად ჩაერთო საერთაშორისო პროცესებში და შესაბამისად, შეიქმნა ქართული ენის განხილვის საჭიროება ორი საურთიერთო კონტექსტით: ქართული – საქართველოს სახელმწიფო ენა, ანუ შიდა მიმოქცევის ენა და ქართული – მსოფლიო მიმოქცევაში მყოფი ერთ-ერთი ენა, ანუ ლეგიტიმირებული ენა.

ყოველი დონისათვის გათვალისწინებულია ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურა. B1 დონიდან თითოეულ კომპლექსს დაემატება მასწავლებლის წიგნი. ვებ-გვერდზე <http://www.geofl.ge>, ასევე განთავსებულია დამხმარე სასწავლო-მეთოდური მასალები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც:

- სკოლის 8 რეგიონულ სასწავლო ცენტრს დაემატა 2 ახალი ცენტრი ლაგოდეხსა და ახმეტაში;
- განხორციელდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა სამი A1, A2 და B1 დონის ფარგლებში სკოლის ათ რეგიონულ სასწავლო ცენტრში;
- შეიქმნა მობილური ჯგუფები, რომლებმაც რაიონული ცენტრიდან მოშორებული სოფლების მაცხოვრებელთათვის ადგილზე განახორციელეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 165 ჯგუფი 66 სოფელში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 70 ჯგუფი 26 სოფელში; ქვემო ქართლის რეგიონი - 69 ჯგუფი 34 სოფელში; კახეთის რეგიონი - 26 ჯგუფი 6 სოფელში);
- დაიბეჭდა თითოეული დონის შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოები;
- შედგა 2016 წელს პროგრამაში ჩართული მსმენელების ერთიანი მონაცემთა ბაზა;
- წლის განმავლობაში რეგიონულ სასწავლო ცენტრებში სისტემატურად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი: ღია და გეგმიურ გაკვეთილებზე დასწრება;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 3193 მსმენელი (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი-1462 მსმენელი, ქვემო ქართლის რეგიონი-1266 მსმენელი, კახეთის რეგიონი - 465 მსმენელი);
- პროგრამის განვითარების მიზნით შეიქმნა დარგობრივი მიმართულებების სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შექმნაზე მომუშავე 4 ჯგუფი, სკოლამ შეარჩია მეთოდისტები და ექსპერტები. მიმდინარეობს მუშაობა 4 დარგობრივი მიმართულებით: იურისპრუდენცია, მენეჯმენტი, ფინანსები და შესყიდვები და ინფრასტრუქტურა;
- შემუშავდა საბოლოო ტესტირების ჩატარების ელექტრონული ფორმა, მომზადდა შესაბამისი ტესტური დავალებები და საპილოტე რეჟიმში 5 რეგიონულ სასწავლო ცენტრში ჩატარდა აღნიშნული ელექტრონული ტესტირება (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი - 2 რეგიონული სასწავლო ცენტრი; ქვემო ქართლის რეგიონი - 3 რეგიონული სასწავლო ცენტრი).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: ქ. ახალქალაქსა და ქ. ნინოწმინდაში ფუნქციონირებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრები, სადაც ადგილზე ხორციელდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა, ხოლო 2015 წლიდან საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში

მიმდინარეობს სწავლება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სწავლება ხორციელდება ახალციხეში, მობილურ ჯგუფებში, რომლებიც განთავსებულია საჯარო სკოლების შენობებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ ცენტრებში სხვადასხვა პროგრამით ისარგებლა 1668 მსმენელმა.

ქვემო ქართლის რეგიონში: მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრების მიერ შეთავაზებული ზემოაღნიშნული პროგრამებით ისარგებლა 1539-მა მსმენელმა.

ხოლო, **კახეთის რეგიონში** ლაგოდეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში სასწავლო ცენტრების მიერ შეთავაზებული პროგრამების მსმენელთა რაოდენობამ შეადგინა 499.

გარდა ამისა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამალგების მიზნით სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელდა კონკრეტული დონისძიებები:

დედაქალაქში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების მიზნით **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას“ შორის 2016 წლის 16 თებერვალს გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი.

„სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, **სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრმა** 2016 წლის განმავლობაში ქართული ენის შესწავლის უფასო კურსები შესთავაზა საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს. აღნიშნულ კურსებს სასწავლო ცენტრი ახორციელებს 2015 წლის სექტემბრიდან, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერითა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით. 2016 წლის განმავლობაში ქართული ენის კურსი 4 საზოგადოებრივ ცენტრში გაიარა 97-მა მსმენელმა (კაზრეთი, კაბალი, ფოკა, სადახლო).

2016 წლის ივლისში შეიქმნა ქართული ენის ტრენერთა ჯგუფი, რომლის წევრებიც შეირჩნენ გამოცდილების საფუძველზე. 6 ტრენერიდან 4 აქვს არაქართულენოვან სკოლებში სწავლების გამოცდილება და ფლობს სომხურ ან აზერბაიჯანულ ენას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური განყოფილება უზრუნველყოფს არაქართულენოვანი მსჯავრდებულების ჩართვას ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაში. ქართული ენის შემსწავლელ კურსებში 2016 წლის განმავლობაში ჩართული იყო 128 არაქართულენოვანი მსჯავრდებული.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა ქართული ენის ონლაინ/დისტანციური სწავლება ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდებისათვის. აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით 2016 წელს განხორციელდა ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო სტრუქტურებში, თბილისისა

და რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე რეგიონალურ მუნიციპალიტეტებთან. პროექტი საშუალებას აძლევს ნებისმიერ ინტერნეტ მომხმარებელს საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან გაიუმჯობესოს სახელმწიფო ენის ცოდნის დონე ან/და დაეუფლოს ქართულ ენას საბაზისო საფეხურიდან, სრულიად უფასოდ. სავალდებულოა რეგისტრაციის გავლა შემდეგ მისამართზე: <http://teach.ge/Programs/6>.

IV. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და ქართულ სივრცეში შემდგომი ინტეგრირების მიზნით გაგრძელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების, კერძოდ: დავით ბაახოვის სახელობის ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის, მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური, თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული და ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა.

თეატრების ხელშეწყობა

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა 2016 წელს განახორციელა რიგი აქტივობები: გაიმართა 118 სპექტაკლი, მათ შორის 7 პრემიერა, რომელსაც დაესწრო 5000 მაყურებელი; ასევე, 7 გასვლითი სპექტაკლი რეგიონებში, საზღვარგარეთ გაიმართა 2 გასტროლი; დაესწრო 959 მაყურებელი.

რაც შეეხება, თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანულ და თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრებს, აზერბაიჯანულმა თეატრმა გამართა 2 სპექტაკლი, შედგა 5 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელის რაოდენობა - 400, ხოლო სომხურ თეატრში გაიმართა 15 სპექტაკლი, მათ შორის 1 პრემიერა, განხორციელდა 7 გასტროლი რეგიონში. ჩატარდა გასვლითი სპექტაკლები 9 სოფელში. საერთო ჯამში დაესწრო 2272 მაყურებელი.

მუზეუმების მხარდაჭერა

სსიპ დავით ბაახოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი. 2016 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი-იერუსალიმი“, მუზეუმის ფონდების ინვენტარიზაცია და ელექტრონული ვერსიის შექმნა, ბიბლიოთეკისა და მუზეუმის ინვენტარიზაცია, მე-19

საუკუნის პრესის მასალებში საქართველოს ებარელთა ისტორიის შესახებ მასალების მოძიება და ელექტრონული ვერსიის შექმნა. წლის განმავლობაში გაიმართა 11 ღონისძიება.

სსიპ მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში გაიმართა 3 გამოფენა, 1 კლიპის პრეზენტაცია, 3 შეხვედრა/ღონისძიება. სსიპ სმირნოვების მუზეუმში დასრულდა ინვენტარიზაციის პროცესი.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

- დასრულდა საქართველოში არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია, კერძოდ: თეთრიწყაროს, წალკის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში და ქ. თბილისის დიდუბის რაიონში. ინვენტარიზაციის შედეგად აღირიცხა 150-მდე ობიექტი. კულტურული მემკვიდრეობის თითოეულ ობიექტზე მომზადდა საველე და საადრიცხვო ბარათები. გარდა ამისა, მომზადდა საქართველოს რუკა, რომელზედაც დატანილია ზემოაღნიშნული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები;
- გამოვლენილი 150-მდე გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის იგეგმება სტატუსის მინიჭების პროცედურები. 2016 წელს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა გერმანული კულტურული მემკვიდრეობის 40-მდე ობიექტს. მათ შორის – წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თრიალეთში, ხრამჰესის ქუჩაზე მდებარე თრიალეთის ეკლესიასაც;
- მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია ნორაშენის ტაძრის იატაკის მოსაწყობად. დასრულდა ნორაშენის ეკლესიის რეაბილიტაციის ეტაპი. 2016 წელს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა ნორაშენის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის ეტაპი.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით პრიორიტეტის – „ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა“ – ფარგლებში გაგრძელდა კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების შემოქმედების ამსახველი გამოფენების, გამოცემების, სპექტაკლების, საღამოების, სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების ტრადიციის შენარჩუნება“ (სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი) - პროექტი ითვალისწინებს ხელით ნაქსოვი ხალიჩების აზერბაიჯანული ტრადიციის შენარჩუნება-განვითარებას, ხალიჩების ტექნოლოგიის შესწავლის მიზნით წრეების შექმნას, სადაც

ხელსაქმის მცოდნეები ახალგაზრდებს შეასწავლიან ხალიჩებისა და გობელენების ქსოვას. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია 6 პედაგოგი, მომზადდა 15-მდე ახალგაზრდა, 25 ბავშვი სწავლობს ცენტრსა და რეგიონებში (მარნეული-ბოლნისი-თეთრიწყარო);

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიქაელ ტარივერდიევის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი;
- ა(ა)იპ „კავკასიურმა მოზაიკამ“ გამოსცა ოსი მწერლის გიორგი ბესთაუთის ორენოვანი ქართულ-ოსური კრებული;
- რაშიდ ბეიბუთოვის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი;
- სსიპ ჩერქეზულ (ადიღეური) კულტურის ცენტრში გაიმართა სამეცნიერო სესია „ჩერქეზები, აფხაზები, ოსები და ქართულ - კავკასიური ცივილიზაციის კონტექსტური ხელშეწყობა“;
- ბათუმში განხორციელდა ცნობილი შემსრულებლის ფოლად ბულბულ ოღლის მუსიკაზე შექმნილი თანამედროვე ბალეტი „ხამსე“;
- ე. მეჩითოვას „კავკასიის ჯაზ ფესტივალი“ საქართველოსა და კავკასიაში ცნობილ შემოქმედებით ჯგუფებსა და მუსიკოსებს აერთიანებს, ჩატარდა კონცერტები.
- ხალიჩების საერთაშორისო ფესტივალი ქ. ახალციხეში - კავკასიაში ხალიჩის ტექნოლოგიური წარმოებასა და ისტორიულ ტრადიციების თავმოყრას, გაზიარებას, ხალიჩების მწარმოებელთა შორის კონტაქტების დამყარებას უკავშირდება.

კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება

კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა არაერთი პროექტი:

- პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ - ითვალისწინებდა კულტურული ღონისძიებების გამართვას როგორც მარნეულში, ასევე ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ბოლნისში, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობას, ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და სახელოვნებო განათლების დონის ამაღლებას, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროექტის ფარგლებში გაიმართა კულტურული ღონისძიებები ბოლნისში, ნინოწმინდაში, მარნეულსა და ახალქალაქში.
- „ყველა კულტურა განსხვავებული, მაგრამ თანასწორია“ - პროექტის ფარგლებში ქ. მარნეულსა და ქ. ნინოწმინდაში გაიმართა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები და კონკურსები ხატვაში. თბილისში მოეწყო აღნიშნული კონკურსებისა და კონცერტების ამსახველი ფოტოგამოფენა;

- ა(ა)იპ „ეთნიკური კულტურის საზოგადოებამ“ განახორციელა პროექტი კლასიკური მუსიკის საღამო „მრავალფეროვნების დღესასწაული“. პროექტის ავტორებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეარჩიეს ნიჭიერი ახალგაზრდები და გამართეს საღამო თბილისის ა. ხაჩატურიანის სახელობის მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში.
- ა(ა)იპ ხელოვნების მხარდაჭერის ცენტრის პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო აფიშებში“- ფარგლებში მომზადდა და გამოიცა ამავე დასახელების კატალოგი, დაიბეჭდა და გამოიფინა აფიშები.
- „სერგო ფარაჯანოვის თბილისი“ - სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების ამსახველი კატალოგის გამოცემა. წიგნში წარმოდგენილია მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების ხედვა ცნობილი რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებისა და მისი ცხოვრების შესახებ. კატალოგის პრეზენტაცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კიევი-დოვჟენკოს ეროვნულ ცენტრში გაიმართა.
- კავშირი "დემოსის" ინიციატივით შემუშავდა პროექტი სახელწოდებით "სხვა საქართველო სად არის", რომლის მიზანი იყო ქართული სიმღერის პოპულარიზაცია მოზარდებში. ქ. მარნეულში ჩატარდა ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალი "სხვა საქართველო სად არის", სადაც ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები 6-დან 17 წლამდე ასაკის ქართველმა და სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა მოზარდებმა შეასრულეს ქართული აკადემიური საესტრადო სიმღერები.
- პროექტი - „ქართველთა და ოსთა მეგობრობა“- „საერთაშორისო საზოგადოებამ კავკასიური მოზაიკა“ განახორციელა პროექტი „გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლის მოსახლეობისათვის გამოფენის მოწყობა და კულტურული ღონისძიების ჩატარება“, რომლის ფარგლებშიც ერგენტში მოეწყო ქართულ-ოსური ურთიერთობების ამსახველი ფოტო-გამოფენა, ასევე ქართველი და ოსი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, გაიმართა კონცერტი.
- გაიმართა ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის ომარ ხუბაევის იუბილე და შემოქმედებითი საღამო.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ პანკისის ხეობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- „ჩვენი ხალხი-ვაინახები“ - პროექტის ფარგლებში ორგანიზატორების მიერ პანკისსა და ჯოყოლოში შერჩეული შემოქმედებითი ჯგუფების მიერ, თბილისში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა გამოფენა და კონცერტი.
- „კავკასიური კულტურის ფესტივალი პანკისში“ - პროექტი მიზნად ისახავდა ვაინახური კულტურის პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას;
- „ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ - თუშეთსა და პანკისის ხეობაში მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობა, ვაინახური კულტურის პოპულარიზაცია; გაიმართა ერთობლივი ფოლკლორული კონცერტი თუშებისა და ვაინახების მონაწილეობით.

- 2016 წლის 21 მაისს სოფელ დუისში კულტურული მრავალფეროვნების დღე აღინიშნა. გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მოეწყო სამუზეუმო ექსპონატებისა და ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. შედგა ბალათერ არაბულის წიგნის „ხევსურული საგა“ პრეზენტაცია, გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების, სსიპ გორის გ. ერისთავის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობთა მონაწილეობით;
- „პანკისის ხეობა და ქისტური ცეკვის ამაგდარი“ - აღნიშნული სახელწოდებით გამოიცა ალბომი, რომელიც ადგილობრივი ცეკვის, ტრადიციების შენარჩუნებას, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას ემსახურება.
- „ფოტო-სკოლა“ ადგილობრივი ბავშვებისათვის ფოტო-ხელოვნების დაუფლებას ითვალისწინებს. პროექტის დასასრულს გაიმართა შემაჯამებელი ფოტო-გამოფენა.
- ალბომის „ვაინახური ხელოვნება“ გამოცემა - კატალოგში თავმოყრილია ინფორმაცია ვაინახური ხელოვნების ნიმუშების, ვაინახური ტრადიციული კულტურის, გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების, უძველესი რეწვის ტექნოლოგიებისა და ოსტატების შესახებ;
- გამოსაცემად მომზადდა ვაინახური საბავშვო ზღაპრები ქართულ ენაზე, რომელიც უძველესი ვაინახური ზღაპრების, ტრადიციებისა და ყოფითი კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება.
- გაიმართა სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი პანკისის სოფლებში (დუისი, ომალო, ჯოყოლო);
- სსიპ „რდილების თეატრის“ გასტროლი სოფ. დუისში (სპექტაკლი „ოთხი დრო“);
- ფოლკლორულ საბავშვო ანსამბლ „სიინ სიგლას“ ხელი შეეწყო სასცენო კოსტიუმებითა და ტექნიკური აღჭურვილი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული იმ ღონისძიებების ორგანიზებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებს საკლუბო დაწესებულებები, სადაც შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. ახალქალაქსა და ნინოწმინდაში აქტიურად ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. ამასთანავე, კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება. სამცხე-ჯავახეთის 7 მუნიციპალიტეტში 183 კულტურული დაწესებულება ფუნქციონირებს, აგრეთვე 11 სამხატვრო და მუსიკალური სკოლა.

კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში დაფინანსდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული

პროექტები. პროექტების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 450 000 ლარი. ასევე მუნიციპალიტეტების სოციალური დახმარების პროგრამის სხვადასხვა მუხლებიდან გაიცა 150 000 ლარზე მეტი. კახეთის რეგიონში წლის განმავლობაში 35-მდე სხვადასხვა კულტურული ღონისძიება ჩატარდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სასოფლო ბიბლიოთეკებში (ჯოყოლო, ქვემო ხალაწანი) განხორციელდა წიგნადი ფონდის შევსება მუნიციპალური - ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ხარჯზე, ხოლო სოფელ დუისის სასოფლო ბიბლიოთეკას აღუდგა სტატუსი.

- პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის დამატებული იქნა 15 სამუზეუმო ექსპონატი, ძირითადად მოსახლეობის შემოწირულობების ხარჯზე;
- მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა სამჭედლო დაზვის შესადენად.
- ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-შემეცნებითი სკოლის ბაზაზე სოფელ ჯოყოლოში გახსნილია სახელოვნებო-შემეცნებითი სკოლის ფილიალი. კერძოდ, გამოყენებითი ხელოვნების წრე, სადაც სწავლობს 27 ბავშვი;
- პანკისის ხეობაში, კერძოდ დუისში ფუნქციონირებს ერთი სამუსიკო სკოლა (ირიცხება 7 ბავშვი, დასაქმებულია ორი თანამშრომელი).

2016 წლის განმავლობაში საქართველოს **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში** აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები. ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩართული ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნილებული მსჯავრდებულები. დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში თვეში ორჯერ იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებობს ოთახი, სადაც განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენლები ხვდებიან მათ სულიერ მოძღვრებს და ადავლენენ რელიგიურ რიტუალებს. ასევე, ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ისლამის მიმდევარი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის ფუნქციონირებს რელიგიური რიტუალების აღსასრულებელი სპეციალური ოთახი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა სათვისტომოებთან.

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად 2016 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა 4 ღონისძიება. მათ შორის იყო ფერწერული ტილოებისა და ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონთა ერთიან ბაზაში განთავსდა უკრაინულ-ქართული, აფხაზურ-ქართული, რუსულ-ქართული, სომხურ-ქართული და ქართულ-ოსური ლექსიკონები.

ზემოხსენებული ღონისძიებების მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და ტრადიციების პოპულარიზაცია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სერგო ფარაჯანოვის 92 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება; გამოიფინა იური მეჩითოვის ფოტოები.
- აზერბაიჯანული პოეზიისა და მუსიკის საღამო;
- ქართველ და აზერბაიჯანელ მხატვართა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა;
- პროექტ ეკვილიბრიუმის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბავრის სომხურ საჯარო სკოლაში მოეწყო ქართული ბიბლიოთეკა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა

- 2016 წლის 7 მარტს ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელშეწყობით გამოიცა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამართული გამოფენის კატალოგი, რომელშიც ქართველი და აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.
- გასული წლის თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში, აბანოთუბნის ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო აზერბაიჯანული კუთხე, სადაც მოეწყო ფოლკლორული ანსამბლების, მომღერლებისა და მოცეკვავეების წარმოდგენები, ეროვნული კერძებისა და ტკბილეულის გამოფენა.
- მუშტაიდის ბაღში, ქ. თბილისის მერიის ააიპ „კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერითა და „საქართველოს ქალთა საბჭოს“ ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება „ხალხთა მეგობრობის ისტორიები“, რომელიც ეძღვნებოდა მუშტაიდის ბაღის დაარსების ისტორიას. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემოქმედებითი ჯგუფები და ხელოვანები, მათ შორის: ოსები, აფხაზები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, პოლონელები, გერმანელები და ჩეხები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ააიპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში ახორციელებს პროექტს „მეგობრობის სახლი“, რომლის მიზანია, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციის ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „მეგობრობის სახლში“ ინტენსიურად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები და შეხვედრები.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებულ „მეგობრობის სახლში“ გაიმართა შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილეს ქ. ბათუმის მერიის მიერ განათლების, ჯანდაცვის, სოციალური და გენდერული თანასწორობის თემატიკაზე დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამები.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა

საქართველოში მცხოვრები „ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა“ ხელს უწყობს ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების განვითარებას, მათში აქტიური მოქალაქეობის იდეის, სახელმწიფოებრივი და თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას. განხორციელდა რიგი პროგრამები და პროექტები:

- გაგრძელდა აუდიო სპექტაკლების დადგმა/ჩაწერა DVD დისკებზე - ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ (ქართულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე); აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ (ქართულ და აფხაზურ ენებზე); შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე). აღნიშნული DVD დისკები გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში;
- 2016 წელს სამინისტროს მიერ შეიქმნა ლიტერატურული კრებული „ჩემი სამშობლო საქართველოა“, რომლის საშუალებით გამოვლინდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პოეზიის ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები; კრებული გამოიცა ასევე ბრაილის შრიფტითაც;
- ალპინისტური ბანაკი - „ექსპედიცია ჭაოხში“ - პროგრამის ფარგლებში მოეწყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობით ექსპედიცია - საკარვე ბანაკი „ჭაუხი - 2016“. ექსპედიცია განხორციელდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით. ბანაკში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი და ქისტი ახალგაზრდები, ხოლო ორგანიზატორები იყვნენ ქართველები და სომხები, რომლებმაც ერთობლივად ჩაატარეს ექსპედიციის ხუთი დღე. პროექტში მონაწილეობა მიიღო 20-მა ახალგაზრდამ;
- პროექტი „საზაფხულო საექსპედიციო ბანაკი“ განხორციელდა ხვამლის მთაზე. პროექტმა ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და ქართველ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას, დაახლოებასა და ერთმანეთის კულტურული ტრადიციების გაცნობას. არქეოლოგიური ბანაკის ხანგრძლივობა ერთი თვეა და მასში ყოველწლიურად 50 ახალგაზრდაა ჩართული.
- ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პანკისის ხეობაში მოეწყო კულტურულ საგანმანათლებლო და სპორტული ტურნირები სპორტის 8 სახეობაში:

ფრენბურთი, ფეხბურთი, ჭიდაობა, მაგიდის ტენისი, სირბილი, მკლავჭიდი, დოდი, შაში (გოგონათა შორის). სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა სპორტული ინვენტარი გადასცა განახლებულ ძიუდოს დარბაზში მოვარჯიშე 100 ახალგაზრდას;

- 2016 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტული სწავლება ძიუდოში პანკისის ხეობის სოფელ დუისში მცხოვრები 150 ახალგაზრდისათვის.
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ შეზღუდული შესაძლებლობების, იძულებით გადაადგილებული და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ინტეგრაციის პროგრამების დეპარტამენტი, პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი 2016“-ის ფარგლებში ახორციელებდა პროექტს „CYNC კვირეული გორში“ და „CYNC კვირეული პანკისში“, რომელიც ითვალისწინებდა ჯოყოლოში, ბირკიანში, დუისში, ახმეტაში, გორში, შავშვებში, ხურვალეთში, კარალეთში, ტინისხიდში, სკრაში, ვარიანში, ბერბუკსა და ვერხვების დასახლებაში მცხოვრები მოსწავლეების, განსაკუთრებით გსმ და შშმ პირთა, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში ჩართვასა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ლიდერული და გუნდური უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ქვეპროექტებში ჩართული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები პანკისის ხეობიდან და გორის მიმდებარე დასახლებებიდან. პროექტში ჩაერთო 13-16 წლამდე ასაკის 70 მოსწავლე.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ყველა მსჯავრდებულს უფლება აქვს, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. 2016 წლის იანვრიდან დღემდე პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა 254 კულტურული და 39 სპორტული ღონისძიება.

V. საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ახორციელებს საინფორმაციო კამპანიას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისგან გამომდინარე სარგებლის შესახებ:

- გაიმართა არაერთი შეხვედრა-დისკუსია ევროინტეგრაციის საკითხებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში: თბილისი; ქვემო ქართლი (მარნეული, დმანისი, წალკა); სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა); კახეთი (პანკისის ხეობა) სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან: სტუდენტებთან და უფროსკლასელებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ფერმერებთან, ასევე რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან.
- წლის განმავლობაში, მომზადდა საინფორმაციო მასალები საქართველოს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესახებ ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საინფორმაციო მასალები სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და ქართულ ენებზე გავრცელდა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლები ევროინტეგრაციის თემაზე (DCFTA-ის და განათლების საერთაშორისო პროგრამების შესახებ) აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. ვიდეორგოლები განთავსდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში (Facebook). ამასთანავე, განხორციელდა პრეზენტაცია ეთნიკური უმცირესობების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
- სამხარეო ადმინისტრაციების მხარდაჭერით, გამოცდების ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციისა და სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიების მონაწილეობით ქ. ახალციხესა და ქ. მარნეულში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებთან დაკავშირებით, მათ შორის, იმ შესაძლებლობებზეც, რასაც ევროინტეგრაციის პროცესი განათლების სფეროში სთავაზობს ახალგაზრდებს.
- ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, კახეთის რეგიონში, საგარეჯოში, ადგილობრივ ფერმერებთან გაიმართა შეხვედრა ევროინტეგრაციის პროცესში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სიახლეების, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებასთან დაკავშირებული პოზიტიური ცვლილებების თაობაზე.

VI. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- აზერბაიჯანული და სომხური ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის მშობლიური ენის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაიმართა ოფიციალური მიღება;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ჩეჩენი და ინგუში ხალხის დეპორტაციის 72 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. ღონისძიებას სხვადასხვა სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პანკისის ხეობიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ;
- ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები თბილისიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, ქვემო ქართლიდან, შიდა ქართლიდან და კახეთიდან;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა;
- აპარატის ორგანიზებით ქ. გორში და ქ. ბათუმში მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი" გაიმართა, რომელიც 2010 წლიდან ტარდება და მასში ჩართულნი არიან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ნიჭიერი ახალგაზრდები. ფესტივალის თანაორგანიზატორები არიან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები და ადგილობრივი თვითმმართველობები; ფესტივალს მხარს უჭერს საქართველოს გაეროს ასოციაცია;
- ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჩაატარა ლექცია/სემინარები თბილისსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტუდენტ-ახალგაზრდებთან; კვირეულის ფარგლებში აპარატის ორგანიზებითა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ფოტოკონკურსი „ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლო“, კონკურსში გამარჯვებულ 13 მონაწილეს გადაეცა ფასიანი საჩუქრები; კვირეულის ფარგლებში გაიმართა სახელმწიფო მინისტრის ოფიციალური მიღება, სადაც მოწვეული იყო ეთნიკური უმცირესობების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- გაიმართა შეხვედრები ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ყარაჯალას საჯარო სკოლების პირველკლასელებთან, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. კასრისწყლის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. აპარატის თანამშრომლებმა ბავშვებს ფოლკლორულ-შემეცნებითი ხასიათის საბავშვო ლიტერატურა გააცნეს. საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით სკოლის ბიბლიოთეკებს წიგნები, ხოლო მოსწავლეებს საკანცელარიო ნივთების ნაკრები გადაეცათ საჩუქრად.
- წლის განმავლობაში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ულოცავდა ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს, როგორც მოსახლეობას, ისე დიპლომატიურ კორპუსს.

VII. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს:

- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (CERD) წარედგინა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების ანგარიში, რომლის განხილვაც 2016 წლის 1-2 მაისს გაიმართა;
- მრჩეველთა კომიტეტმა, გასული წლის იანვარში გამოაქვეყნა საქართველოს მიერ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ მეორე პერიოდული ანგარიში.

აღნიშნულ ანგარიშებში დაფიქსირებულია სახელმწიფოს მიერ მიღწეული პროგრესი და ასევე გამოწვევები ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით.

2016 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საჭყოსთან. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამავდროულად, სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კოორდინირებას უწევდნენ აპარატის საქმიანობას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების, ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.